

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეფექტური მიდგომები

ფუტკარაძე მინდია – მაგისტრანტი, ჰუმანიტარული და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, წმიდა ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტი, შუახევი, საქართველო

Effective Approaches of Preparation of Master's Thesis

Putkaradze Mindia – Master Student, Faculty of Humanities and Education, Saint Tbel Abuseridze University, Shuakhevi, Georgia

Introduction and aim: 2018 Unveils New teacher training integrated Bachelor-Master's program, after which the student proves the subject, methodical, research and practical competences. Research is one of the factors for the verification of the competence of a Master's thesis for the preparation of effective approaches to analyze.

Research methodology: The interviews have been used to achieve this goal, data analysis table, pedagogical experience, analysis of the sources.

Results and implications: Master's thesis supervisor and student collaboration is established. Student-centered point of view, we consider the activities of the work for the preparation of effective approaches: The discussion has been protected, the protection of the present situation in a good way. The latest research, the study of innovative projects in the practical-creative ideas to contribute to the vision. The teacher began its activity, professional development and career advancement scheme for determining the need for involvement in the school allows, which in turn leads to Actuality. Teacher's evaluation of the performance of the group or its members to participate in the work of creating the necessary conditions for the practical application of a quality improvement. I think the teacher's work is an important factor leading to the observation. I believe that the best approach is one of the factors, the project manager with a leading academic in the field of teachers. Important resources of the working method of approach: finding, sorting, use. It is desirable for the students to have the research base. In this respect, a great environment for our university, which is a two-school, kindergarten, vocational school. Developed in line with the recommendation of the scheme requirements, teachers' professional standard, taking into account the benefits of the work rate of increase. Master's thesis supervisor and student collaboration is established. Student-centered point of view, we consider the activities of the work for the preparation of effective approaches: The discussion has been protected, the protection of the present situation in a good way. The latest research, the study of innovative projects in the practical-creative ideas to contribute to the vision. The teacher began its activity, professional development and career advancement scheme for determining the need for involvement in the school allows, which in turn leads to Actuality. Teacher's evaluation of the performance of the group or its members to participate in the work of creating the necessary conditions for the practical application of a quality improvement. I think the teacher's work is an important factor leading to the observation. I believe that the best approach is one of the factors, the project manager with a leading academic in the field of teachers. Important resources of the working method of approach: finding, sorting, use. It is desirable for the students to have the research base. In this respect, a great environment for our university, which is a two-school, kindergarten, vocational school. Developed in line with the recommendation of the scheme requirements, teachers' professional standard, taking into account the benefits of the work rate of increase.

Conclusion: Examination of the work for the preparation of effective approaches to teacher training will be one of the important preconditions and factors of success for the implementation of integrated bachelor-master program. An effective approach to continuing to support the teachers and the teachers and graduate work be required of applicants who want to work better.

Keywords: Master and Bachelor, scheme, research, competence, assessment team, use

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ შესაბამისად 2018 წლიდან განათლების მიმართულებით ამოქმედდება მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა, რომლის გავლით სტუდენტი ადასტურებს საგნობრივ, მეთოდურ, კვლევით და პრაქტიკულ კომპეტენციებს.

კვლევითი კომპეტენციის დადასტურების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს

სამაგისტრო ნაშრომი. მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე რეფორმის უმთავრესი მახასიათებელია სტუდენტზე და შედეგზე ორიენტირებული სწავლება/სწავლის და კვლევის პროცესი, სტუდენტის გამოცდილებისა და მოსაზრებისათვის გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭება. აქედან, გამომდინარე შევბედე ასეთი ავტორიტეტულ კონფერენციისთვის მოხსენების მომზადება. გმადლობთ, რომ მომეცა საშუალება წარმოგიდგინოთ ჩემი დაკვირვების შედეგები.

მიზანი გახლავთ შემდეგი: განათლების მიმართულებით მასწავლებლის მომზადების სიახლეების განსახორციელებლად კვლევით კომპეტენციის დადასტურების ერთ-ერთი ფაქტორის - სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ეფექტური მიდგომების გზებისა და საშუალებების განსაზღვრა.

რა არის მაგისტრის კვალიფიკაცია? - მაგისტრი მფლობელია იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დადგენილ კრედიტულულების რაოდენობის ათვისების შემდეგ ენიჭება. (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 2005), ესაა აკადემიური ხარისხი, რომელიც ასახავს კურსდამთავრებულის ისეთ დონეს, რომელიც მზადაა სამეცნიერო კვლევითი და მეცნიერული პედაგოგიური საქმიანობისათვის.

მაგისტრის ხარისხი ენიჭება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ.

განვიხილოთ რა არის და რისთვის იწერება სამაგისტრო ნაშრომი?

ამ კითხვაზე პასუხი ნაცნობიც არის და უცნობიც, რადგან თითქოს კარგად ვიცით, რაც არის, მაგრამ, როცა დაწერას დავიწყებთ უმაღლეს პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით.

სხვადასხვა უნივერსიტეტში მოქმედი რეკომენდაციებისა და მეცნიერთა შეხედულებების ანალიზის საფუძველზე განვმარტავთ, რომ სამაგისტრო ნაშრომი ესაა სასწავლო კვლევითი შინაარსის დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი, რომლის მეშვეობით ავტორის მიერ წარმოებული კვლევით გადაწყდება მეცნიერული

პრობლემები იმ სფეროში, რომელსაც ეძღვნება ნაშრომი. ამასთან იგი საჭირო და სასარგებლოა პრაქტიკული გამოყენებისათვის.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს ახალ მასალებს, აღწერს ახალ ფაქტორებს, კანონზომიერებებს ან განაზოგადებს ცნობილ მეცნიერულ მოსაზრებებს ახალი კუთხით. მოიცავს საგანმანათლებლო თეორიულ და კვლევით ელემენტებს. იგი აერთიანებს უკვე არსებული საქმიანობის ანალიზს და შეთავაზებული სიახლეების გაცნობის ფაქტორებს.

სამაგისტრო ნაშრომი ადასტურებს, რომ ავტორი არის მეცნიერ-მუშაკი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა წარმართოს სამეცნიერო ძიება, შემოქმედებითად ჩამოაყალიბოს და გადაწყვიტოს მეცნიერული პრობლემა ზოგადი და სპეციფიკური მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით. ეს არის პირველი, სერიოზული ნაბიჯი სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისა.

სამაგისტრო ნაშრომით ავტორი იღებს მაგისტრი აკადემიურ ხარისხს, რომელიც

ცხადყოფს, რომ ავტორმა მიიღო ღრმა ცოდნა მოცემულ სფეროში, შეუძლია გადაჭრას სამეცნიერო მიმართულების სტრატეგიული ამოცანები. მუდმივად განავითაროს ტექნოლოგიები, მხარი აუბას თანამედროვე ცვლილებებს.

მოხსენებაზე მუშაობის პერიოდში გაჩნდა პრობლემა, იმის თაობაზე, რომ სამაგისტრო ნაშრომისადმი მოთხოვნები მეცნიერული ღირებულებისაა, მისი ავტორი კი იღებს არა სამეცნიერო, არამედ აკადემიურ ხარისხს. ეს პრობლემა ჩვენი კვლევის საგანი არ არის და ვერც იქნება, იგი სხვა დონის პრობლემაა. მაგრამ ვახსენეთ, როგორც აზრთა სხვადასხვაობის გამომხატველი არსებული პრობლემა.

დავინტერესდი პრობლემით - არის თუ არა მიმზიდველი განათლების მაგისტრატურა?

განათლების მაგისტრატურის „სკოლის მართვა და ხელმძღვანელობის“ -მხრივ მოთხოვნა მცირდება, რადგან დასაქმებისათვის რთული გზაა გასავლელი - კონკურსი, სერტიფიცირება, გასაუბრება, რომელსაც გარკვეული დოზით გამოცდილებასაც საჭიროებს. საპირისპიროდ ამისა, მოთხოვნა გაიზარდა იმ მიმართულებისა, რომელსაც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგანთა ჯგუფის სწავლების/სწავლის მეთოდიკებს მოიცავს. შევისწავლე ჩვენს უნივერსიტეტში არსებული ვითარება 7 წლის მანძილზე. სტატისტიკური ცხრილების ანალიზით მივიღე შემდეგი შედეგი: მოთხოვნების დინამიკა ასეთია: 2013 წელს 5 მაგისტრი; 2014 – 10 მაგისტრი; 2015 – 15 მაგისტრი + მობილობით 10 მაგისტრი - სულ 25 ; 2016 წელს 30, მობილობით 14 - სულ 44.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ განათლების მაგისტრატურა დღეისთვის მომზიბლავია.

ვხედავთ პრობლემასაც, გარკვეული არ არის მოქმედი განათლების საგნობრივი მიმართულების მაგისტრატურის კურსდამთავრებული სარგებლობს თუ არა რაიმე უპირატესობით ამჟამად. ამასთან ეს საკითხი ნათელი და გარკვეულია ახალ სქემაში. განათლების 300 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული ხდება უფროსი მასწავლებელი.

ვიმედოვნებ, ამჟამინდელი ვითარებაც მკაფიო და ნათელი გახდება.

როგორ დავწეროთ სამაგისტრო ნაშრომი?

სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტთა უმრავლესობისთვის დამოუკიდებელი კვლევის განხორციელების პირველი მნიშვნელოვანი საქმიანობაა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით - 40 სტუდენტიდან 34-მა უპასუხა, რომ ნაშრომზე მუშაობის დასაწყისში უპირატესობას ანიჭებს იმ მოთხოვნებისა და აქტივობების გაცნობას, რომელიც კვლევას და ნაშრომის დაწერას უკავშირდება. აქედან გამომდინარე განვიხილავთ ამ საკითხს.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის, ერთ-ერთი გავრცელებული ზოგადი რეკომენდაცია არის ნაშრომის შესრულებისა და დაცვის წესი, რომელიც მოიცავს ინსტრუქტაჟს ნაშრომის გაფორმების, შინაარსის სტრუქტურის განმარტებებს: შესავალი, რომელშიც აისახება თემის აქტუალობა, მიზნები ამოცანები, საგნისა და პრობლემის ფორმულირება, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი. საკითხის შესწავლის მდგომარეობა: ძირითადი ნაწილი იყოფა თავებად და ქვეთავებად.

დასკვნაში აისახება კვლევის შედეგები, მასი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, გამოყენების სფერო.

გვერდების გაფორმება გარკვეულ ფორმატს ექვემდებარება.

შევისწავლეთ რეკომენდაციები და შეხედულებები იმის თაობაზე, თუ როგორ დავწეროთ სამაგისტრო ნაშრომი. შემოგთავაზებთ ამ პრობლემის ირგვლივ წყაროების მიმოხილვას:

საკვლევი თემის შერჩევასთან დაკავშირებით არის ერთმანეთთან ახლოს მდგარი,

მაგრამ რამდენადმე განსხვავებული რჩევები. განვიხილოთ

ზოგიერთი: I თემის იდეა:

ა) თუ სტუდენტს აქვს იდეა, ამ შემთხვევაში იგი:

- ეყრდნობა გარკვეულ ფაქტებს.
- გამომდინარეობს პირადი პედაგოგიური პრაქტიკიდან ან საკურსო ნაშრომიდან.
- უკავშირებს წაკითხულ ლიტერატურას ან საზოგადოებაში არსებულ ინტერესს.
- უკავშირებს სხვადასხვა ნაშრომის გაცნობით გამოვლენილ პრობლემას.

ბ) თუ სტუდენტს არ აქვს იდეა, ამ შემთხვევაში:

- მისთვის საინტერესო სფეროს პროფესორთან განიხილავს კვლევის შესაძლო თემებს.

- უახლესი კვლევების, პროექტების, შედეგების გაცნობით გეგმავს მსგავსი კვლევის ჩატარებას.
- ირჩევს თემას იმ თემატიკიდან, რომელიც არის ფაკულტეტის ან დეპარტამენტის გრძელვადიანი კვლევის სფერო.

თემის შერჩევა ყველაზე დიდი პრობლემაა. მოცემული რჩევები მისაღებია. ამასთან ჩემი დაკვირვებით უკვე დაცული ნაშრომის განხილვა, დაცვაზე დასწრება არსებული ვითარების გაცნობის, პრობლემის გამოკვეთის კარგი საშუალებაა.

უახლესი მოთხოვნების, სასკოლო პრაქტიკის შესწავლა ინოვაციური კრეატიული იდეების ხედვას უწყობს ხელს. ამ მიმართებით მოხსენებაზე მუშაობის პერიოდში ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა: „ნაშრომის თემის არჩევანი“. შეთავაზებული ჩამონათვალიდან მხარდაჭერა მოიპოვა მახასიათებელმა „სკოლის საჭიროების კვლევა.“ სკოლის საჭიროებამ მოიცვა ისეთ თემები, როგორცაა: საგნობრივი ცოდნის ცხოვრებაში ტრანსფერი, მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგის გამოყენება მისი ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებისათვის; მოსწავლის თვითშეფასება; მოსწავლის თვითეფექტურობის ამაღლება; თანამშრომლობით კულტურა სკოლის დონეზე; სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობა და სხვა. ცხადია სხვადასხვა სკოლას

სხვადასხვა საჭიროებები აქვს.

მივედით დასკვნამდე, რომ განათლების მიმართულებით სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის ეფექტური მიდგომაა სკოლის საჭიროებების კვლევა და შესაბამისად არჩევა იმ თემისა, რომელიც სკოლას დაეხმარება წინსვლაში.

ამგვარი მიდგომა განაპირობებს თემის აქტუალობას და ამაღლებს მისი პრაქტიკული გამოყენების ხარისხს.

განვიხილოთ ისეთი პრობლემა, როგორცაა: თემის ხელმძღვანელის არჩევა.

ამ მიმართებით რეკომენდირებული რჩევებია:

- პროფესორი არის იმ საგნის წარმომადგენელი, რომელშიც ხარისხი ენიჭება.
- პროფესორი იცნობს საკვლევ თემასთან დაკავშირებით კვლევებს, ლიტერატურას, აქვს გამოცდილება კვლევის წარმოების, მონაცემთა ანალიზის, აკადემიური ნაშრომის დაწერის, შეუძლია სასარგებლო რჩევების მიცემა, განხორციელებული სამუშაოს შეფასება. არ იმიზეზებს დატვირთულობას და საჭიროების შემთხვევაში პოულობს საჭირო დროს.

დავინტერესდით საკითხით:

თავად ხელმძღვანელი როგორ აკეთებს არჩევანს: ვის უხელმძღვანელოს ან რომელ თემას.

ჩავატარეთ ინტერნეტგამოკითხვა. ანონიმურობა დაცული იყო. გამოგვეხმაურა 21 რესპოდენტი. პასუხები ასე გადანაწილდა.

- სტუდენტის საქმიანობას ვიცნობ და მისი შესაძლებლობები დადებითად მიმაჩნია სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად - 8.

- დეპარტამენტმა გამინაწილა - 7.
- ვმუშაობ პრობლემაზე და მაინტერესებს რა შედეგს მიიღებს მაგისტრანტი - 2.
- სტუდენტს არ ვიცნობდი, მაგრამ გასაუბრებით დადებით შთაბეჭდილება შემექმნა -4.

პრობლემების, თემის აქტუალობის, თემის შერჩევისა და ხელმძღვანელის არჩევის პრობლემასთან მიმართებით ეფექტური გზების ძიებამ მიმიყვანა შემდეგ დასკვნამდე: განათლების მიმართულებით სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, სასურველი დონის მიღწევის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ დარგის პროფესორთან ერთად თემის თანახელმძღვანელი იყოს წამყვანი ან მენტორი მასწავლებელი.

განვიხილავთ პირობებს, რომელმაც ასეთი დასკვნის ჩამოყალიბება განაპირობა.

16 მაგისტრანტის მუშაობაზე გაცნობამ ცხადი გახადა, რომ ორს სხვებთან შედარებით გაუადვილდა ნაშრომზე მუშაობა. თეორიულ საკითხებთან ერთად უშუალოდ აკვირდებოდნენ ახალი მოთხოვნებით მიმდინარე სასწავლო პროცესებს და მასწავლებლის საქმიანობას. ეს განპირობებული გახლდათ იმით, რომ თემის ხელმძღვანელი განთლების დოქტორის ხარისხთან ერთად არის წამყვანი მასწავლებელი და აქტიურად არის ჩართული სიახლეების დანერგვაში.

დარგის პროფესორთან ერთად წამყვანი და როცა მიღწევადი იქნება მენტორი მასწავლებლის თანახელმძღვანელობით. ამ მოსაზრების არგუმენტი გახლავთ შემდეგი:

ნაშრომის იდეა განიხილება ფაქტებით - რა არის და რის შეცვლაა საჭირო, რა სარგებელი ექნება სკოლას ამ იდეის განხორციელებით. იდეა განაპირობებს თემის აქტუალობას, რომელიც თავმოყრილია სკოლის საჭიროებების კვლევაში. კვლევის შედეგები, სკოლისთვის სარგებლობას განაპირობებს მისი გამოყენების ხარისხი. ახალი სქემის მიხედვით სკოლის საჭიროებების კვლევის განხორციელება ყველა მასწავლებელს შეუძლია, მაგრამ პირადი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა სავალდებულო აქტივობა არის წამყვანი და მენტორი მასწავლებლისთვის.

შეიქმნება ერთგვარი სისტემატიზაცია თეორიული და პრაქტიკული ღირებულებებისა, რომელიც წინაპირობაა ახალი მეცნიერული მიდგომების, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულებების ხარისხის ამაღლებისათვის.

შევხებით ისეთ საკითხს, როგორცაა კვლევის ინსტრუმენტები. მოგეხსენებათ:

სამაგისტრო ნაშრომის დაწერისას ვლინდება, რომ სტუდენტს შეუძლია თემის, იდეის შესამოწმებლად ჩასატარებელი კვლევისთვის მეთოდების შერჩევა. ამ მიმართულებით მრავალ მეთოდთაგან გამოვყოფთ ისეთ მეთოდებს, როგორცაა ელექტრონული რესურსების მოძიება, დახარისხება, გამოყენება. ეს ყოველდღიური საქმიანობაა და ქცეული, მაგრამ არც ისე იოლი სამუშაოა. ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის, რესურსების ზღვა ნაკადში მოძიება და დახარისხება. ესეც აღარ აღმოჩნდა საკმარისი და საჭირო გახდა გამოყენების ხარისხის დადგენა, რათა მკითხველი ადვილად მიხვდეს რა გზით ცდილობდ ავტორი მიზნის მიღწევას.

თანამდეროვე მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს არა საკუთარი იდეა, არამედ ზუსტი სტრუქტურირებული ნაშრომი, რომელიც შესაბამისობაშია ოფიციალურ მოთხოვნებთან და არის პრაქტიკული გამოყენებისთვის ღირებული.

ეფექტური მიდგომის უმნიშვნელოვანეს პირობად მიგვაჩნია კვლევის ბაზა.

სამაგისტრო ნაშრომისთვის რაოდენობრივი კვლევა (რიცხვითი ანალიზისთვის) და ხარისხობრივი (ინფორმაცია ანალიზისათვის) აუცილებელია ისე დაიგეგმოს, რომ მივიღოთ სისტემატიზებული მონაცემები და ვალიდური შედეგები. ვიცნობდეთ ჩვენი კვლევის სფეროში არსებულ კვლევებს და შეგვეძლოს არჩევა კვლევის რომელი დიზაინი (სქემა) გამოიყენება არჩეული თემის შემთხვევაში. მართალია, კვლევის სქემა მოცემული და გაწერილია ელექტრონულ წყაროებში, მაგრამ პრაქტიკულ საქმიანობაში მათ გამოყენება, პედაგოგიურ პროცესზე დაკვირვება, ახალი რეკომენდაციების გამოცდა, შემოწმება შეუძლებელია ბაზის გარეშე. საამისო პირობები იქმნება მაშინ, როცა სტუდენტი თავად არის მასწავლებელი და უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი ბაზა. ამ მხრივ ავლნიშნავ რომ სასარგებლო პირობებია შექმნილი ჩვენს უნივერსიტეტში, რომელთანაც არის 2 სკოლა და საბავშვო ბაღი. ეს არის საშუალება არა მხოლოდ კვლევის ჩატარებისა, არამედ შემოწმება იდეებისა, მეთოდებისა და მიგნებებისა.

ამჟამინდელი ვითარებით სქემაში ჩართული სკოლა - ეს არის კვლევით საქმიანობის დიდი სფერო, სადაც სხვადასხვა სტატუსის მქონე მასწავლებლები ეძებენ უკეთესი მუშაობის გზებს, ასრულებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რომელიც სტანდარტიზებული რუბრიკით შეფასდება.

ასეთ ვითარებაში ეფექტურია მასწავლებლის საქმიანობის შეფასების ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა. მე შეფასების ჯგუფის წევრი ვარ, აქტიურად ვერთვები ჯგუფის მუშაობაში და პირადი გამოცდილებით ვადასტურებ, რომ ეს სასარგებლო მიდგომაა.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ეფექტური გზების ძიება დროის მოთხოვნაა, მე მხოლოდ მცირე პრობლემას შევხეხე. ამ საკითხზე დაფიქრება და ახალი მიდგომების ძიება კვლავაც დიდ ყურადღებას მოითხოვს. მით უმეტეს, რომ ახალი სქემით განათლების დოქტორის ხარისხის აღიარება ხდება. ხოლო დოქტორის წინაპირობა მაგისტრის ხარისხია.

რეზიუმე

„სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეფექტური მიდგომები“

2018 წლიდან ამოქმედდება ახალი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა, რომლის გავლის შემდეგ სტუდენტი ადასტურებს საგნობრივ, მეთოდურ, კვლევით და პრაქტიკულ კომპეტენციებს. კვლევითი

კომპეტენციის დადასტურების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის ეფექტური მიდგომების გაანალიზება.

კვლევის მიზნის მისაღწევად ინტერვიუს, მონაცემთა ცხრილის ანალიზის, პედაგოგიური გამოცდილების შესწავლას, წყაროების ანალიზის მეთოდების გამოყენებით მიღებულია დასკვნები, იმის თაობაზე, რომ უახლესი კვლევების, პროექტების პრაქტიკაში დანერგვის შესწავლა, უკვე დაცული ნაშრომის განხილვა, დაცვაზე დასწრება ინოვაციურ-კრეატიული იდეების ხედვას უწყობს ხელს.

სასკოლო საჭიროების კვლევის საფუძველზე საკვლევი თემის შერჩევა.

მასწავლებლის საქმიანობის შეფასების ჯგუფის წევრობა ან მის მუშაობაში მონაწილეობის მიღება სასარგებლო პირობას ქმნის ნაშრომის აქტუალობისა და პრაქტიკული გამოყენების ხარისხის ამაღლებისათვის.

ეფექტური მიდგომის ერთ-ერთი ფაქტორია, როცა თემის ხელმძღვანელი დარგის პროფესორთან ერთად არის წამყვანი მასწავლებელი.

მნიშვნელოვანია ელექტრონულ რესურსებზე მუშაობისას მიდგომა მეთოდით:

მოძიება, დახარისხება, გამოყენება.

სასურველია, რომ სტუდენტს ქონდეს კვლევის ბაზა. ამ მიმართებით სასარგებლო გარემოა ჩვენს უნივერსიტეტში, რომელთანაც არის ორი სკოლა, ბაღი, პროფესიული სკოლა.

აუცილებელია შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისობა სქემის მოთხოვნებთან, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტთან, რაც ნაშრომის სარგებლიანობის მაჩვენებელს გაზრდის.

ლიტერატურა:

1. <http://студенту.pdf>
2. <http://uznaikak.su>
3. <https://disshelp.ru/1-8/15-sovetov>
4. <http://студенту.pdf>
5. www.ucss.ge/samagistro